სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/15

ქ. თბილისი

11 თებერვალს 2021

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში STEM საგნებში აბიტურიენტების უფასო მოსამზადებელი ონლაინ კურსების განმახორციელებელი პედაგოგებისათვის ანაზღაურების ნიხრის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 თებერვლის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში STEM საგნებში საქართველოში მცხოვრები აბიტურიენტების უფასო მოსამზადებელი ონლაინ კურსების განმახორციელებელი პედაგოგებისათვის ანაზღაურების ნიხრი განისაზღვროს საათში 18 ლარით;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს წინამდებარე დადგენილება;
3. საკითხს წარმომადგენლობით საბჭოზე (სენატი) გაიტანს სწავლების დეპარტამენტის უფროსი თამარ წერეთელი;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**